* * *

რომ არ ამეღო ხელში წიგნი ,
თოხი მჯეროდა .
რომ არ გამედგა ფეხი ჩვენი კაკლის ჩეროდან .
რომ მეთოხნა და შემესარა მხოლოდ ვენახი .
დიდი ქალაქი
რომ არ მენახა ! -

მეყოლებოდა ახლა ხარები .
შემოდგომაზე მთიდან შეშას ჩამოვიტანდი .
არ ვიქნებოდი აღარც ღარიბი ,
აღარც მდიდარი .

ცოლი ყოველდღე თიხის კეცებს გაახურებდა ,
ცივ სოხანეზე
გადმოდგამდა ლობიოს ქოთნით .
მეყვარებოდა როგორც მიყვარს მინდვრიდ ყურება -
აიზლაზნება
მინდვრებიდან
როდესაც ორთქლი .

პარასკეობით საჩხერეში გავყიდდი სიმინდს ,
მეუღლეს ჩემსას
ჩითის კაბას ვუყიდდი იმით .

სოფლის სკოლაში ორი ბავშვი -
ჩემიც ივლიდა ;
ბიჭს ალბათ ვანო ერქმეოდა ,
გოგოს – ივლიტა , -
რომ არ ამეღო ხელში წიგნი ,
თოხი მჭეროდა .
რომ არ გამედგა ფეხი ჩვენი კაკლის ჩეროდან .